საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და ფ.პ „ხათუნა ძაძამია“-ს შორის 2018 წლის 15 იანვარს გაფორმებულ N2018/38-ე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N2018/38-2

ქ. თბილისი 29 10 2018 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ხათუნა ძაძამია შემდგომში ,,მიმწოდებელი“, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2018 წლის 15 იანვარს გაფორმებულ N2018/38-ე ხელშეკრულების მე-11 მუხლის საფუძველზე და შსს მიგრაციის დეპარტამენტის 2018 წლის 29 ოქტომბრის N2636113 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას:

აღწერილობითი ნაწილი:

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2018 წლის 29 ოქტომბრის N2636113 სამსახურებრივი ბარათიდან ირკვევა, რომ 2018 წლის 15 იანვარს გაფორმებული N2018/38-ე ხელშეკრულებაში საჭიროა შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულების შემცირების მიზნით.

ვინაიდან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რუსულ ენაზე მოსაუბრე (საქართველოში თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) ბენეფიციართა რიცხვი საქართველოში არ გაზრდილა, აქედან გამომდინარე, შსს მიგრაციის დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია რუსული ენის თარჯიმნის ხელშეკრულებით გასაწევი მომსახურების ღირებულება შემცირდეს 600 ლარით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა იხელმძღვანელა ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად და მიმწოდებელთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების შემცირების შესახებ.

დადგენილებითი ნაწილი:

1. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება 2000 ლარი შემცირდეს 600 ლარით და შეადგინოს 1400 ლარი
2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები/მუხლები დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.
4. წინამდებარე შეთანხმების ოქმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ ეგზემპლარად, რომელიც წარმოადგენს 2018 წლის 15 იანვარს დადებულ N2018/38–ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, აქედან სამი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	**ფიზიკური პირი „ხათუნა ძაძამია“**
შსს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი	**თარჯიმანი**
თია მელაძე	**ხათუნა ძაძამია**

MIA 6 18 02636113

29/10/2018

შსს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორს
ქალბატონ **თია მელაძეს**

ქალბატონო თია,

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, რომ შსს მიგრაციის დეპარტამენტის ლტოლვილთა საკითხების სამმართველოს მიმდინარე წლის სამსახურეობრივი ბარათის № 2613667 საფუძველზე მოხდეს ახალი ხელშეკრულების გაფორმება თარჯიმან ნათია კუნდუხაშვილთან და შეთანხმების ოქმის საფუძველზე მოხდეს ხელშეკრულების თანხის შემცირება შემდეგ თარჯიმნებთან: მილენა ბალინსკასთან,ხათუნა ძაძამიასთან და სევილ ომაროვთან.
იხილეთ საფუძვლები.

პატივისცემით,

მიგრაციის დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორი
შალვა ენუქიძე

MIA 5 18 02613667

25/10/2018

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორს
პოლიციის პოლკოვნიკ **შალვა ენუქიძეს**

მოხსენებითი ბარათი

ბატონო **შალვა**,

მოგახსენებთ, რომ საქართველოში თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების ჩასატარებლად, ესაჭიროებათ კვალიფიცირებული თარჯიმნები.

ირანის ისლამური რესპუბლიკიდან საქართველოში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნათა გაზრდამ გამოიწვია, სამინისტროს მიერ ხელშეკრულებით აყვანილი სპარსული ენის თარჯიმნის მიერ გაწეული მომსახურების გაზრდა, რამაც განაპირობა ხელშეკრულებებით განსაზღვრული თანხის ამოწურვა მიმდინარე წლის ბოლომდე. კერძოდ:

სპარსული ენის თარჯიმან, ფიზიკურ პირ ნათია კუნდუხაშვილთან მიმდინარე წლის 15 იანვარს გაფორმებული N2018/40 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 13000 ლარი იწურება. 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დარჩენილია 750 ლარი, რაც არ არის საკმარისი წლის ბოლომდე შესასრულებელი სამუშაოს ასანაზღაურებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა ფიზიკურ პირ ნათია კუნდუხაშვილთან გაფორმდეს ახალი ხელშეკრულება ღირებულებით 2505 ლარი 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

აქვე გაცნობებთ, რომ 2018 წლის განმავლობაში აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე მოსაუბრე ბენეფიციართა რიცხვი არ გაზრდილა, ხოლო ბულგარულ ენაზე მოსაუბრე პირებს არ მოუმართავთ საქართველოში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით. შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნული ენების თარჯიმნებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებების შემცირება. კერძოდ:

ბულგარული ენა - 15/01/2018 წლის გაფორმებული N2018/42 ხელშეკრულება ფიზიკურ პირ მილენა ბალინსკასთან - საერთო ღირებულება 1000 ლარი. 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დარჩენილია - 1000 ლარი, რომელიც შესაძლებელია შემცირდეს 900 ლარით.

აზერბაიჯანული ენა - 15/01/2018 წლის გაფორმებული N2018/43 ხელშეკრულება ფიზიკურ პირ სევილ ომაროვთან - საერთო ღირებულება 5000 ლარი. 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დარჩენილია - 2690 ლარი, რომელიც შესაძლებელია შემცირდეს 1800 ლარით;

რუსული ენა - 15/01/2018 წლის გაფორმებული N2018/38 ხელშეკრულება ფიზიკურ პირ ხათუნა ძაძამიასთან - საერთო ღირებულება 2000 ლარი. 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დარჩენილია - 1420 ლარი, რომელიც შესაძლებელია შემცირდეს 600 ლარით;

MIA 5 18 02613667

25/10/2018

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორს
პოლიციის პოლკოვნიკ **შალვა ენუქიძეს**

მოხსენებითი ბარათი

ბატონო **შალვა**,

მოგახსენებთ, რომ საქართველოში თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების ჩასატარებლად, ესაჭიროებათ კვალიფიცირებული თარჯიმნები.

ირანის ისლამური რესპუბლიკიდან საქართველოში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნათა გაზრდამ გამოიწვია, სამინისტროს მიერ ხელშეკრულებით აყვანილი სპარსული ენის თარჯიმნის მიერ გაწეული მომსახურების გაზრდა, რამაც განაპირობა ხელშეკრულებებით განსაზღვრული თანხის ამოწურვა მიმდინარე წლის ბოლომდე. კერძოდ:

სპარსული ენის თარჯიმან, ფიზიკურ პირ ნათია კუნდუხაშვილთან მიმდინარე წლის 15 იანვარს გაფორმებული N2018/40 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 13000 ლარი იწურება. 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დარჩენილია 750 ლარი, რაც არ არის საკმარისი წლის ბოლომდე შესასრულებელი სამუშაოს ასანაზღაურებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა ფიზიკურ პირ ნათია კუნდუხაშვილთან გაფორმდეს ახალი ხელშეკრულება ღირებულებით 2505 ლარი 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

აქვე გაცნობებთ, რომ 2018 წლის განმავლობაში აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე მოსაუბრე ბენეფიციართა რიცხვი არ გაზრდილა, ხოლო ბულგარულ ენაზე მოსაუბრე პირებს არ მოუმართავთ საქართველოში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით. შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნული ენების თარჯიმნებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებების შემცირება. კერძოდ:

ბულგარული ენა - 15/01/2018 წლის გაფორმებული N2018/42 ხელშეკრულება ფიზიკურ პირ მილენა ბალინსკასთან - საერთო ღირებულება 1000 ლარი. 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დარჩენილია - 1000 ლარი, რომელიც შესაძლებელია შემცირდეს 900 ლარით.

აზერბაიჯანული ენა - 15/01/2018 წლის გაფორმებული N2018/43 ხელშეკრულება ფიზიკურ პირ სევილ ომაროვთან - საერთო ღირებულება 5000 ლარი. 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დარჩენილია - 2690 ლარი, რომელიც შესაძლებელია შემცირდეს 1800 ლარით;

რუსული ენა - 15/01/2018 წლის გაფორმებული N2018/38 ხელშეკრულება ფიზიკურ პირ ხათუნა ძაძამიასთან - საერთო ღირებულება 2000 ლარი. 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დარჩენილია - 1420 ლარი, რომელიც შესაძლებელია შემცირდეს 600 ლარით;

ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლს და მიღება-ჩაბარებას განახორციელებენ - შსს მიგრაციის დეპარტამენტის ლტოლვილთა საკითხების სამმართველოს უფროსი - ირაკლი ლომიძე, შსს მიგრაციის დეპარტამენტის ლტოლვილთა საკითხების სამმართველოს თავშესაფრის მაძიებელ პირთა განაცხადების რეგისტრაციისა და სტატუსის დადგენის განყოფილების უფროსის მოადგილე - მარიამ სვანიძე და ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტი - ნატო კანდელაკი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 იანვრის N7 განკარგულების - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ სხვადასხვა ენოვანი თარჯიმნების მომსახურების შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ თანახმად, იმდენად, რამდენადაც, საერთაშორისო დაცვის საკითხებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლედ განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გთხოვთ, თქვენს თანხმობას შესაბამისმა სამსახურმა განახორციელოს შესყიდვის სათანადო პროცედურები შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.

მიგრაციის დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორი
შალვა ენუქიძე

ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლს და მიღება-ჩაბარებას განახორციელებენ - შსს მიგრაციის დეპარტამენტის ლტოლვილთა საკითხების სამმართველოს უფროსი - ირაკლი ლომიძე, შსს მიგრაციის დეპარტამენტის ლტოლვილთა საკითხების სამმართველოს თავშესაფრის მაძიებელ პირთა განაცხადების რეგისტრაციისა და სტატუსის დადგენის განყოფილების უფროსის მოადგილე - მარიამ სვანიძე და ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტი - ნატო კანდელაკი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 იანვრის N7 განკარგულების - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ სხვადასხვა ენოვანი თარჯიმნების მომსახურების შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ თანახმად, იმდენად, რამდენადაც, საერთაშორისო დაცვის საკითხებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლედ განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გთხოვთ, თქვენს თანხმობას შესაბამისმა სამსახურმა განახორციელოს შესყიდვის სათანადო პროცედურები შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.

მიგრაციის დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორი
შალვა ენუქიძე